შპს „დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანი“
ს/კ:402225043
მის: ელენე ახვლედიანის ქ. N3

21 აპრილი 2026

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს'' უფროსს

ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ რომ შპს ,,დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანის'' მიერ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, საღამოს ტბის აღმოსავლეთ მხარეს, სოფ. საღამოდან დაახლოებით 4 კმ-ის დაშორებით, ზ.ღ.დ-დან დაახლოებით 2500-2800 მ სიმაღლეზე, ჯავახეთის ქედზე, დაგეგმილია ,,ფარავნის'' ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება. პროექტის ფარგლებში ასათვისებელ ფართობზე დაგეგმილია 21 ქარის ტურბინის განთავსება. ქარის ტურბინების გარდა ელექტროსადგურის კომპლექტში შედის აგრეთვე 220 კვ ძაბვის ქვესადგური და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა-საკაბელო ელექტრო გადამცემი ხაზები. ,,ფარავნის ქარის'' ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრეა შეადგენს 130 მვტ-ს. თითოეული ტურბინის მაქსიმალური სიმძლავრე შეადგენს 6.25 მვტ-ს.

ქარის ენერგიის მეშვეობით ელექტროენერგიის წარმოებისათვის განკუთვნილი დანადგარის, ისევე როგორც 35 კვ ძაბვის ეგხ-ის და 220 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა წარმოდგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომში „კოდექსი“) II დანართით განსაზღვრულ საქმიანობებს და საჭიროებს კოდექსით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლას, თუმცა ვინაიდან წინასწარი გამოკვლევით (პროექტის სპეციფიური მახასიათებლების, მათ შორის მასშტაბის და კომპლექსურობის გათვალისწინებით) დგინდება რომ განსახილველი საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც საჭიროებს სათანადო შეფასებების განხორციელებას და ეფექტური გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვას, საქმიანობის განამხორციელებლის მიერ, კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე, **მიღებული იქნა გადაწყვეტილება სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე, კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით სააგენტოში სკოპინგის განცხადების/ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით.**

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურის (გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის) მიერ სკოპინგის განცხადების განხილვისა და **შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით,** კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკოპინგის განცხადებას, სკრინინგის ანგარიშთან და Shp ფაილებთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართები:

- სკოპინგის ანგარიში (ელექტრონული / მატერიალური)
- Shp ფაილები (ელექტრონული)

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
21 „ 04 2026 წ.
№ 5727

პატივისცემით,

შპს ,,დეიუ ნიუ ენერჯი ფარავანის'' დირექტორი

ერეკლე ყანდარელი

ს/კ:402225043
ელენე ახვლედიანის ქუჩა N3., თბილისი 0103 | dmizandari@dayuhk.com | 577400061